

სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსებისთვის სტუდენტთა/აბიტურიენტთა ელექტრონული რეგისტრაციისა და განცხადების შევსების ინსტრუქცია

განცხადებები მიიღება მხოლოდ ონლაინ რეჟიმში


2021 წლის 10 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის 18:00 საათამდე

ელექტრონული რეგისტრაციის გვერდზე შესასვლელად ბრაუზერში აკრიფეთ მისამართი: (<http://socreg.mes.gov.ge/>) ან ისარგებლეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე (<http://socreg.mes.gov.ge/>) განთავსებული ბმულით.


1. რეგისტრაცია

1.1 დააჭირეთ ღილაკს: „რეგისტრაცია“

1.2 შეავსეთ ყველა სავალდებულო ველი, გაეცანით დადგენილებას და დაეთანხმეთ რეგისტრაციისათვის აუცილებელ პირობებს



1.2 რეგისტრაციის დასრულებისათვის უნდა დადასტურდეს ტელეფონის ნომრის სიზუსტე. შესაბამისად, თქვენ მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე მიიღებთ უნიკალურ კოდს, რომელიც უნდა შეიყვანოთ პორტალზე.



განმცხადებლის მიერ რეგისტრაციის დროს მითითებული საკონტაქტო ტელეფონის ნომრის ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართის შეცვლის შემთხვევაში, განმცხადებელი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

1.3 რეგისტრაციის გავლის შემდგომ, თქვენ მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე მიიღებთ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას - „რეგისტრაცია წარმატებით გაიარეთ, გთხოვთ გადახვიდეთ განცხადების შევსებაზე“

რეგისტრაციის გავლა არ ნიშნავს განაცხადის წარდგენას, რეგისტრაციის გავლის შემდეგ, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, აუცილებელად უნდა გადახვიდეთ განცხადების შევსებაზე

2. განაცხადის შევსება

ელექტრონულ განაცხადს ავსებენ აბიტურიენტები, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს 2021 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები და ასევე, სტუდენტები რომლებიც სწავლობენ უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის) საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2.1 დააჭირეთ ღილაკს: „შესვლა“ ;

2.2 თქვენი პირადი ნომრით და პაროლით შედით სისტემაში;



განმცხადებელი, რომლის პირადი ნომერი არ ფიქსირდება რეესტრში, ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, მიმართავს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.

- 2.3 მონიშნეთ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის წელი;
- 2.4 მონიშნეთ კატეგორია/კატეგორიები, რომელსაც მიეკუთვნებით;
- 2.5 ატვირთეთ მონიშნული კატეგორიისათვის საჭირო დოკუმენტები;
- 2.7 დააჭირეთ ღილაკს: „გაგზავნა“, რის შემდეგაც მითითებულ მობილურ ტელეფონის ნომერზე მიიღებთ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას - „განცხადება წარდგენილია“.

3. განაცხადის რედაქტირება/შესწორება

3.1 კატეგორიის/კატეგორიების დამატება ან განაცხადის რედაქტირება/შესწორება შესაძლებელია განცხადების წარდგენის ვადის დასრულებამდე, 2021 წლის 1 ოქტომბრის 18.00 საათამდე, ღილაკზე დაჭერით: „შესწორება“.

2 ოქტომბრიდან დაიწყება განცხადების და მასთან თანდართული დოკუმენტების შემოწმება.

4. განაცხადის მიღების პროცესები

- 4.1 განცხადების სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, მითითებულ ტელეფონის ნომერზე მიიღებთ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას - „თქვენი განცხადება განხილვის პროცესშია“;
- 4.2 ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, განცხადებას შეეცვლება სტატუსი - „ნაწილობრივ დახარვეზებულია“ ან „სრულად დახარვეზებულია“, ამასთან ხარვეზის შესახებ მიიღებთ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას მითითებულ ტელეფონის ნომერზე, ხოლო ხარვეზის მიზეზისა და გამოსწორების

საბოლოო ვადის ნახვა შესაძლებელია პორტალზე (<http://socreg.mes.gov.ge/>), თქვენი პირადი ნომრითა და პაროლით შესვლის შემდეგ;

4.3 ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია დადგენილ ვადაში, გამოსწორებისათვის დააჭირეთ, ღილაკს „ხარვეზის გამოსწორება“ - შესწორეთ განაცხადი ხარვეზის შესაბამისად და დააჭირეთ ღილაკს: „გაგზავნა“;

5. შედეგები

- ✓ დოკუმენტების გადამოწმების შემდეგ დადგინდება, მიუკუთვნებით თუ არა დადგენილებით განსაზღვრულ კატეგორიას
- ✓ კონკურსში მონაწილეობისთვის, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ სტუდენტს 2021 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით უნდა ჰქონდეს სარეიტინგო ქულა 70000 ან ნაკლები
- ✓ კონკურსში მონაწილეობისთვის, სტუდენტს 2021 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, უნდა ჰქონდეს აქტიური სტუდენტის სტატუსი.
- ✓ პროგრამის ფარგლებში მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ, გეცნობებათ თქვენ მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე, მოკლე ტექსტური შეტყობინებით.

5.1 კონკურსში მონაწილეობას არ მიიღებს, ხარვეზის გამოსწორების საბოლოო ვადის გასვლის შემდგომ, „სრულად დახარვეზებული“ განაცხადები. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, მიიღებთ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას - „კონკურსში ვერ მიიღებთ მონაწილეობას, ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო“ (socreg.mes.gov.ge)

5.2 „ნაწილობრივ დახარვეზებული“ განაცხადის მქონე პირები კონკურსში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ იმ კატეგორიებში, სადაც საჭირო დოკუმენტები წარმოდგენილია სრულყოფილად;

5.3 კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ შემდეგი განმცხადებლები:

-) სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ არააკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
-) სტუდენტები, რომლებიც ჩაირიცხნენ თავისუფალ ადგილებზე განმეორებითი რეგისტრაციის გავლის საფუძველზე.
-) სტუდენტები რომლებიც ჩაირიცხნენ სახელოვნებო-შემოქმედებით ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე და ჩარიცხულნი არიან მხოლოდ შემოქმედებითი ტურებისა და სავალდებულო საგნების საფუძველზე.
-) სტუდენტები, რომლებიც ჩარიცხულნი არიან 2014-2018 წლებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით და ვერ გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, იმ წლისთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დებულებით გათვალისწინებულ საგამოცდო-

საიდენტიფიკაციო ბარათში მითითებულ ყველა გამოცდაში.

აღნიშნული პირები მითითებულ ტელეფონის ნომერზე მიიღებენ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას - „თქვენ ვერ აკმაყოფილებთ სოციალური პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნას, დეტალური ინფორმაცია იხილეთ თქვენს პერსონალურ გვერდზე“.

5.4 სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მოპოვების ან ვერ მოპოვების შესახებ ინფორმაცია დაიგზავნება რეგისტრაციისას მითითებულ ტელეფონის ნომრებზე:

- ა) თქვენ მოიპოვეთ სახელმწიფო სასწავლო გრანტი სოციალური პროგრამის ფარგლებში;
- ბ) ვერ მოიპოვეთ სახელმწიფო სასწავლო გრანტი სოციალური პროგრამის ფარგლებში.

გისურვებთ წარმატებას!